

ურთიერთგაგების მემორანდუმი

ქ. თბილისი

4 ნოემბერი, 2015 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომში "მთავრობა"), წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის კახა კალაძის მიერ; და

მეორე მხრივ, შპს „ჰიდრო ენერჯო კორპორაცია“ (შემდგომში "კომპანია") ს/კ 402014351, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის პაატა ცინცაძის (პირადი # 01007002537) მიერ;

დებენ წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმს (შემდგომში "მემორანდუმი") შემდეგზე:

1. მიზანი

1.1. მემორანდუმის მიზანია კომპანიის მიერ, წინამდებარე მემორანდუმის დანართი N1-ით გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურების (შემდგომში „პროექტი“) მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის საკითხების შესწავლა და მისი მშენებლობა, ფლობა, ოპერირება ამ მემორანდუმით და მხარეთა შორის შემდგომში შეთანხმებული პირობების მიხედვით.

2. პროექტის ვადები და პირობები

2.1. კომპანია წინამდებარე მემორანდუმის ხელმოწერიდან 33 (ოცდაცამეტი) თვეში უზრუნველყოფს:

ა) მემორანდუმის დანართი N1-ით გათვალისწინებული მდინარის ნიშნულების ფარგლებში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის საკითხების შესწავლის დასრულებას მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული ვადების შესაბამისად;

ბ) მემორანდუმის დანართი N1-ით გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით წინადადების საქართველოს მთავრობისთვის წარდგენას.

2.2. იმ შემთხვევაში, თუ მემორანდუმის 2.1. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესრულების შედეგად კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება დანართი N1-ით გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის შესახებ, მემორანდუმის 2.1. პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად საქართველოს მთავრობისთვის წარდგენილი წინადადება უნდა შეიცავდეს:

ა) კომპანიის გადაწყვეტილებას შესაბამისი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე;

ბ) ჰიდროელექტროსადგურების დადგმულ სიმძლავრეს და საშუალო წლიურ გამოიმუშავებას;

- გ) ჰიდროელექტროსადგურების ადგილმდებარეობის ზუსტ კოორდინატებს და მდინარის შესაბამის ნიშნულებს;
- დ) ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის დაწყების, მშენებლობის დასრულების და ექსპლუატაციაში გაშვების თარიღებს, აგრეთვე განსახორციელებელი ინვესტიციის სავარაუდო ოდენობას;
- ე) ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევებს და მასთან დაკავშირებულ სრულ დოკუმენტაციას.
- 2.3. კომპანიის მიერ მემორანდუმის 2.2. პუნქტის შესაბამისად წინადადების წარდგენიდან არაუგვიანეს 4 (ოთხი) თვის ვადაში მხარეები ერთობლივად განიხილავენ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის საკითხს და იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებას ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ან მშენებლობაზე უარის შესახებ.
- 2.4. მხარეთა მიერ მემორანდუმის 2.3. პუნქტის შესაბამისად, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მემორანდუმის 2.3. პუნქტით დადგენილი ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 4 (ოთხი) თვისა მხარეთა შორის იდება ხელშეკრულება ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ (შემდგომში „ხელშეკრულება“). წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ვადა შესაძლოა გახანგრძლივდეს ურთიერთშეთანხმებით.
- 2.5. კომპანია ვალდებულია ხელშეკრულებით განსაზღვრული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის დაწყების და ჰიდროელექტროსადგურების ექსპლუატაციაში მიღების ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს მთავრობას ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობით, ვადითა და პირობებით წარუდგინოს უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია.
- 2.6. მთავრობა, მემორანდუმის დადებიდან 37 (ოცდაჩვიდმეტი) თვის ვადაში, კომპანიის წერილობითი თანხმობის გარეშე არ გადასცემს მემორანდუმის დანართი N1-ით გათვალისწინებული ნიშნულების ფარგლებში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის საკითხების შესწავლის ან/და ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის, ფლობის და ოპერირების უფლებას სხვა პირს, გარდა მემორანდუმის 2.8 და 2.9 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 2.7. მთავრობა არ მოახდენს ინიცირებას, არ დაამტკიცებს, ნებას არ დართავს და არ დათანხმდება ან სხვაგვარად არ მოიწონებს მდინარე ენგურზე და მის აუზის სხვა მდირეებზე (შენაკადებზე) მემორანდუმის დანართი N1-ით განსაზღვრული ნიშნულების ფარგლებში ისეთი ჰიდროელექტროსადგურების ან ნებისმიერი სხვა ტიპის და დანიშნულების ისეთი ახალი პროექტების, განხორციელებას ან არსებულის მოდიფიცირებებს, რომლებმაც შესაძლოა უარყოფით ზემოქმედებას მოახდინოს მემორანდუმის დანართი N1-ით განსაზღვრული ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის შესწავლის, მშენებლობის, ტექნიკურ პარამეტრებზე, ჰიდროელექტროსადგურების ფლობისა და ექსპლუატაციის სრულ პერიოდზე.

2.8. მთავრობა უფლებამოსილია მემორანდუმის 2.6 პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლამდე კომპანიის თანხმობის გარეშე გადასცეს დანართი N1-ით განსაზღვრული ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის საკითხების შესწავლის ან/და მშენებლობის, ფლობის და ოპერირების უფლება სხვა პირს, თუ:

ა) მთავრობას გააჩნია დასაბუთებული ვარაუდი იმის თაობაზე, რომ კომპანია ვერ უზრუნველყოფს მემორანდუმის დანართი N1-ით განსაზღვრული ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევის ჩატარებას;

ბ) კომპანიამ მემორანდუმის დანართი N1-ით განსაზღვრულ ჰიდროელექტროსადგურებზე დაარღვია მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევის ნებისმიერი ვადა (დანართი N2) და ასევე მემორანდუმის 5.2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული დამატებითი ვადა, მთავრობის მიერ ასეთი დამატებითი ვადის განსაზღვრის შემთხვევაში;

გ) კომპანიამ დანართი მემორანდუმის N1-ით განსაზღვრული ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე წერილობითი უარი განაცხადა.

2.9. კომპანია ვალდებულია მთავრობის მოთხოვნისთანავე გადასცეს მას მის ხელთ არსებული მემორანდუმის დანართი N1-ით გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევები და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტები (მათ შორის ნახაზები და გარემოსდაცვითი დოკუმენტები) სრულად, უსასყიდლოდ, ექსკლუზიური საკუთრების უფლებით, თუ:

ა) კომპანიის მიერ მემორანდუმის 2.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის არ არის წარდგენილი წინადადება ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის თაობაზე;

ბ) კომპანიის მიერ მემორანდუმის 2.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის თაობაზე, მაგრამ მემორანდუმის 2.3. პუნქტის მიხედვით მხარეთა მიერ არ იქნა მიღებული ერთობლივი გადაწყვეტილება ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე;

გ) კომპანიის მიერ მემორანდუმის 2.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება და 2.3. პუნქტის მიხედვით მხარეთა მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე, მაგრამ მთავრობას და კომპანიას შორის მემორანდუმის 2.4. პუნქტით დადგენილ ვადაში არ იქნა დადებული ხელშეკრულება;

დ) დადგა 2.8 პუნქტის შესაბამისი ნებისმიერი გარემოება.

3. ქსელთან მიერთება და წარმოებული ელექტროენერჯის რეალიზაცია

3.1 იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის მიერ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღება გარკვეულ წილად დამოკიდებულია მათი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ქსელთან მიერთების სქემაზე, მთავრობა იღებს ვალდებულებას, რომ უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული მემორანდუმის დანართი N1-ით განსაზღვრული ჰიდროელექტროსადგურების

ქსელთან მიერთების მიზნით შესაბამისი ინფრასტრუქტურის (მიერთების წერტილის) მოწყობას იმ პარამეტრებითა და ვადებში, რომელიც განსაზღვრულია ან იქნება განსაზღვრული საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 2015 წლის 8 აპრილის N39 ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიან გეგმაში“.

3.2 კომპანია ვალდებულია საკუთარი ხარჯით განახორციელოს ჰიდროელექტროსადგურების მიერთება მემორანდუმის 3.1. პუნქტით განსაზღვრულ ინფრასტრუქტურასთან.

3.3 ქვეყნის ელექტროენერჯით მომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, მემორანდუმის დანართი N1-ით განსაზღვრული ჰიდროელექტროსადგურების ექსპლუატაციაში მიღებიდან 15 წლის განმავლობაში, ყოველი წლის ზამთრის თვეებში (ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი (“ზამთრის პერიოდი”)) წლიური გენერაციის არანაკლებ 20 (ოცი) %-ის რეალიზაცია განხორციელდება სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორზე“ (ესკო) მასთან გაფორმებული ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების ფარგლებში ან სხვა ადგილობრივ მყიდველზე კომპანიის არჩევანით. ზემოაღნიშნულ პერიოდში „ესკო“-ზე სარეალიზაციო ელექტროენერჯის ტარიფი დამატებით განისაზღვრება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, რომლის ოდენობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ანალოგიური პროექტების დაფინანსებისთვის საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მოთხოვნები, იმ პირობით, რომ ისინი მისაღები იქნება მთავრობისათვის.

4. მიწები და მშენებლობის ნებართვა

4.1. პროექტის განხორციელების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, მთავრობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შესაბამისი მიწის ნაკვეთ(ებ)ის კომპანიისათვის კანონმდებლობით დადგენილ წესით გადაცემას.

4.2. მთავრობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში, აღმოუჩენს კომპანიას სათანადო დახმარებას ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის საკითხების შესწავლის პროცესში, იმ პირობით, რომ კომპანიის მიერ სრულად იქნება დაკმაყოფილებული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და პირობები.

5. პროექტის ხარჯები, ინფორმაციის მიწოდება

5.1. პროექტთან დაკავშირებულ ხარჯებს სრულად გაიღებს კომპანია.

5.2. კომპანია წინამდებარე მემორანდუმის დადების დღიდან ვალდებულია კვარტალში ერთხელ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს წარუდგინოს ანგარიში, რომელიც უნდა ასახავდეს კომპანიის მიერ დანართი N2-ით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების პროგრესს, რომელიც უნდა შეიცავდეს კონკრეტული კვლევის დასაბუთების შესახებ ინფორმაციას, მიღებულ შედეგებს, გაანგარიშებებს, გათვლებს, პარამეტრებს, გამოყენებული მეთოდოლოგიებისა და სტანდარტების მითითებით. თუ აღნიშნული ანგარიში, მთლიანად ან ნაწილობრივ

არ არის შესაბამისი ხარისხის, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო წერილობითი შეტყობინების მეშვეობით კომპანიას უსაზღვრავს დამატებით გონივრულ ვადას აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნული დამატებითი ვადა არ განაპირობებს მემორანდუმი 2.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადის გაზრდას.

6. მემორანდუმის მოქმედება

6.1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

6.2. მემორანდუმის მოქმედება ავტომატურად შეწყდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;

ბ) მემორანდუმის მოქმედება შეწყდება ავტომატურად თუ:

ბ.ა) კომპანიის მიერ მემორანდუმის 2.2. პუნქტის შესაბამისად არ იქნა მთავრობისთვის წარდგენილი წინადადება ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის თაობაზე - მემორანდუმის 2.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვისთანავე;

ბ.ბ) კომპანიის მიერ მემორანდუმი 2.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება, მაგრამ მემორანდუმის 2.3. პუნქტის მიხედვით მხარეთა მიერ არ იქნა მიღებული ერთობლივი გადაწყვეტილება ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე - მემორანდუმის 2.3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვისთანავე;

ბ.გ) კომპანიის მიერ მემორანდუმი 2.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის თაობაზე და მემორანდუმის 2.3. პუნქტის მიხედვით მხარეთა მიერ მიღებული იქნა დადებითი გადაწყვეტილება ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის თაობაზე, მაგრამ მთავრობას და კომპანიას შორის მემორანდუმის 2.4. პუნქტით დადგენილ ვადაში არ იქნა დადებული ხელშეკრულება - 2.4. პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე;

გ) კომპანიამ მემორანდუმის დანართი N1-ით განსაზღვრულ ჰიდროელექტროსადგურებზე დაარღვია მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევის ვადა (დანართი N2) და ასევე 5.2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული დამატებითი ვადა, მთავრობის მიერ ასეთი დამატებითი ვადის განსაზღვრის შემთხვევაში;

დ) თუ ადგილი ექნება მემორანდუმის 2.8. პუნქტის ერთი ან მეტი ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6.3. წინამდებარე მემორანდუმით კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მემორანდუმის მოქმედების და კომპანიის პასუხისმგებლობის საკითხი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.4. წინამდებარე მემორანდუმის მოქმედების მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ აუქმებს მემორანდუმის 2.9. პუნქტით გათვალისწინებულ კომპანიის ვალდებულებებს.

7. ფორს-მაჟორი

- 7.1. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეების გონივრულ კონტროლს მიღმა არსებულ ნებისმიერ მოვლენას, რომელთა წარმოქმნას მხარეები ვერ გაითვალისწინებდნენ მემორანდუმის ხელმოწერის დღისათვის, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, ომს (გამოცხადებულს თუ გამოუცხადებელს), რევოლუციას, აჯანყებას, გადატრიალებას, საყოველთაო გაფიცვებს, უკანონო და მასშტაბურ საპროტესტო გამოსვლებს, ოკუპაციას, შეიარაღებულ კონფლიქტს, ბლოკადას, ემბარგოს, ტერორიზმის აქტს, საბოტაჟს, სამოქალაქო არეულობას, რადიაციას, ბიოლოგიურ ან ქიმიურ დაბინძურებას, მაიონიზირებელ რადიაციას, აფეთქებას, ხანძარს, ეპიდემიას, ციკლონს, ზვავს, მეწყერს, მეხს, მიწისძვრას, წყალდიდობას, ვულკანის ამოფრქვევას, ნებისმიერი სახის სხვა ბუნებრივ კატასტროფას ან უბედურებას ან ნებისმიერ სხვა მსგავს მოვლენას.
- 7.2. თუ წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე მხარეზე ზემოქმედებას ახდენს ფორს-მაჟორი, ეს მხარე ვალდებულია მეორე მხარეს დაუყოვნებლივ გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება ფორს-მაჟორული გარემოებების შესახებ დეტალური ანგარიშით.
- 7.3. თუ ფორს-მაჟორული გარემოება ხელს შეუშლის რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული ცალკეული ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებას, მხარე, რომელიც აცხადებს ფორს-მაჟორის შესახებ, განთავისუფლდება იმ ვალდებულების შესრულებისგან, რომელსაც ხელს უშლის ფორს-მაჟორი, იმ მოცულობითა და ვადით, რითაც ეს მოვლენა მასზე ახდენს ზემოქმედებას, და მეორე მხარეს არ ექნება წინამდებარე მემორანდუმის შეწყვეტის უფლება, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ეს სხვაგვარადაა განსაზღვრული წინამდებარე მემორანდუმით.

8. ცვლილებები

- 8.1. წინამდებარე მემორანდუმის ცალკეული დებულება შეიძლება შეიცვალოს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. თუ მემორანდუმის რომელიმე დებულება ძალას დაკარგავს, ეს არ იმოქმედებს მემორანდუმის სხვა დებულებებზე.

9. შეტყობინება

- 9.1. მხარეების მიერ გაგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია, წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში, უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით და გაიგზავნოს ფოსტით ან კურიერის მეშვეობით. შეტყობინება შევა ძალაში დაუყოვნებლივ მიმღების მიერ მისი მიღებისთანავე.

10. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების მოგვარება

- 10.1. წინამდებარე მემორანდუმი დადებულია და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
- 10.2. წინამდებარე მემორანდუმთან ან მასში შეტანილ რომელიმე ცვლილებასთან დაკავშირებით წარმოშობილ ნებისმიერი დავის გადაწყვეტას მხარეები ეცდებიან მოლაპარაკების გზით.

10.3. თუ წარმოშობილი დავა ვერ მოგვარდა მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით, მაშინ ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს დავის გადაწყვეტისთვის მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლებს, დადგენილი წესით.

11. ასლები, მემორანდუმის ენა

11.1. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

12. ხელმოწერები:

საქართველოს მთავრობა


კახა კალაძე

შპს „ჰიდრო ენერჯო კორპორაცია“

პაატა ცინცაძე

დანართი N1

| # | ჰიდროელექტროსადგურის დასახელება | მდინარე | ქვედა და ზედა ბიეფები ზღვის დონიდან | |
|---|------------------------------------|---------|--|--------|
| 1 | ენგურჰესი 5 | ენგური | 1212,0 | 1480,0 |
| 2 | ენგურჰესი 6 | ენგური | 1120,0 | 1210,0 |
| 3 | ენგურჰესი 7 | ენგური | 877,0 | 1117,0 |
| 4 | ენგურჰესი 8 | ენგური | 705,0 | 875,0 |



საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2156 2015 წლის 6 ოქტომბერი ქ.თბილისი

საქართველოს მთავრობასა და შპს „ჰიდრო ენერჯო კორპორაციას“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობასა და შპს „ჰიდრო ენერჯო კორპორაციას“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი.
2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ურთიერთგაგების მემორანდუმს საქართველოს მთავრობის სახელით ხელი მოაწეროს საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი

Handwritten signature

ირაკლი ღარიბაშვილი



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA0101519935

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ. 24 ა ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№7425

28 / სექტემბერი / 20

საქართველოს ენერჯელ
მინისტრის მოადგილე
მატონ ირაკლი ხმაღ

მატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2015 წლის 23 სექტემბრის №04 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობასა და შპს „ჰიდრო ენერჯო კორპორაციას“ შორის დასა-
ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი, რომელთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სამართლებ
ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს.

პატივისცემით,

გ. დხიჭიჯანიძე

მინისტრის მოადგილე

გონა ლორთქიფ